საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №297
2018 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 31.01.2012წ., სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016240) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 52-ე მუხლის მე-4-4^2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გარდაცვალების რეგისტრაციისათვის მერის მიერ უფლებამოსილი პირი სააგენტოს წერილობით წარუდგენს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად შედგენილ ოქმს. გარდა ამ მუხლის 4^1 და 4^2 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ოქმი უნდა შეიცავდეს:

ა) ოქმის შედგენის თარიღს;

ბ) ოქმის შედგენის ადგილს;

გ) გარდაცვლილი პირის სახელს, გვარს, სქესს, დაბადების თარიღსა და ადგილს, მოქალაქეობას და პირად ნომერს;

დ) გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერიას და ნომერს;

ე) გარდაცვლილის უკანასკნელი რეგისტრაციის ადგილს;

ვ) მოწმეების ჩვენების/ახსნა-განმარტების შინაარსს, კერძოდ:

ვ.ა) გარდაცვალების ადგილს;

ვ.ბ) გარდაცვალების თარიღს;

ვ.გ) გარდაცვალების მიზეზს;

ვ.დ) სხვა ინფორმაციას გარდაცვლილი პირის შესახებ;

ზ) მოწმეების სახელსა და გვარს;

თ) მოწმეების პირად ნომერს;

ი) მოწმეების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერიას და ნომერს;

კ) ინფორმაციას გარდაცვლილთან მოწმეების კავშირის შესახებ;

ლ) მოწმეების ხელმოწერას;

მ) ოქმის შემდგენი პირის მონაცემებს:

მ.ა) სახელსა და გვარს;

მ.ბ) პირად ნომერს;

მ.გ) თანამდებობას;

ნ) შენიშვნის გრაფას;

ო) ოქმის შემდგენის ხელმოწერას.

4^1. გარდაცვალების თარიღის შესახებ ინფორმაციის მოძიების შეუძლებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილ ოქმში შესაძლებელია არ იქნეს მითითებული პირის გარდაცვალების თარიღი. ამ შემთხვევაში ამ ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრულ შესაბამის ველში იწერება – „უცნობი“. იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვალების თარიღის შესახებ არ მოიპოვება სრული ინფორმაცია, არამედ ცნობილია მხოლოდ წელი, ან წელი და თვე, ოქმში მითითებული უნდა იქნეს შესაბამისად გარდაცვალების წელი, ან წელი და თვე.

4^2. ინფორმაციის მოძიების შეუძლებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილ ოქმში შესაძლებელია არ იქნეს მითითებული პირის გარდაცვალების ადგილი ან/და მიზეზი. ამ შემთხვევაში ამ ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრულ შესაბამის ველში იწერება – „უცნობი“.“.

2. წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის 76-ე მუხლი:

„მუხლი 76. ამ წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჟარის მუნიციპალიტეტებში

ამ წესის 52-ე მუხლით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის მერის ფუნქციებს ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჟარის მუნიციპალიტეტებში ასრულებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**